ხელშეკრულება ლაბორატორიული მომსახურების შესახებ
№01-07/27

ქ.ბათუმი 25 /03/2022

ხელშეკრულების მხარეები
დამკვეთი: შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი“
უფლებამოსილი წარმომადგენელი: დირექტორი - პაატა ზაქარაძე
შემსრულებელი: სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი
უფლებამოსილი წარმომადგენელი: ცენტრის უფროსი - ლევან გორგილაძე

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
გამოსაცდელი/საკვლევი მასალა: სასმელი წყალი.
გამოკვლევის სახე: მიკრობიოლოგიური/ბაქტერიოლოგიური.
გამოსაკვლევი მაჩვენებლები: განსაზღვრულია დანართი №1-ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
მომსახურების გაწევის საფუძველი: წინამდებარე ხელშეკრულება, დამკვეთის მოთხოვნა (წერილობითი, ელექტრონული) და ნიმუშის/სინჯის აღების ოქმი.
სახელმწიფო შესყიდვა: CPV კოდზე 71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები

მუხლი 2. სინჯების/ნიმუშების აღება
- დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსრულებელი განახორციელებს სინჯების/ნიმუშების აღებას დამკვეთის წინასწარი შეტყობინების (წერილობითი ან ელ.ფოსტის/samebalab@gmail.com საშუალებით) მიღების შემდეგ.
- დამკვეთმა უნდა მოახდინოს შეტყობინების შემსრულებლისათვის გაგზავნა არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 3. მომსახურების ღირებულება
გამოკვლევის ღირებულება: განსაზღვრულია დანართი №1-ით.
მომსახურების ღირებულება ითვალისწინებს როგორც მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით შემსრულებლისათვის დადგენილ ყველა გადასახადს, დღგ-ს ჩათვლით.

მუხლი 4. გამოცდის შედეგები
შემსრულებელი უზრუნველყოფს გამოცდის ოქმის გაცემას სინჯის მიღებიდან/რეგისტრაციიდან არაუგვიანეს (10 ათი) სამუშაო დღის ვადაში, მხოლოდ დამკვეთის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი
ანგარიშსწორების სახე: უნაღდო
დამკვეთი უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების საფასურის გადახდას შემსრულებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის გადაგზავნის შემდეგ, ხელშეკრულების მე-12 პუნქტში მითითებული სახაზინო ანგარიშის რეკვიზიტებზე.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
დამკვეთი ვალდებულია: ა) შემსრულებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სინჯების/ნიმუშების აღების შემთხვევაში, შიდა კონტროლისა და მონიტორინგის მიზნით, უზრუნველყოს შემსრულებლის წარმომადგენლის დაშვება დამკვეთის მიერ მითითებულ წერტილებში სინჯების (ნიმუშების) ასაღებად; ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
შემსრულებელი: ა) სინჯების (ნიმუშების) აღებასა და ლაბორატორიულ კვლევას განახორციელებს საქართველოში მოქმედი ნორმატიული ბაზის შესაბამისად, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს

საერთაშორისო სტანდარტები; ბ)ლაბორატორიული კვლევის დასრულებისა და მომსახურების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე გასცემს გამოცდის ოქმს; გ) ხელმძღვანელობს მიუკერძოებლობის პრინციპით, რაც გამოიხატება მის დამოუკიდებლობაში უზრუნველყოს კვლევების ჩატარებისას ობიექტურობა და რეალური შედეგის სისწორე.

7. კონფიდენციალურობა

7.1. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

7.2. ლაბორატორიაში დაცული, აგრეთვე ლაბორატორიის პერსონალის მიერ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს დამკვეთის მაიდენტიფიცირებელ (პერსონალურ) მონაცემებს, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და დაუშვებელია მისი არასამსახურეობრივი მიზნით გამოყენება ან გამჟღავნება მესამე პირთათვის. მაიდენტიფიცირებელი მონაცემი შესაძლებელია იყოს დამკვეთის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირის მახასიათებელი ისეთი ფიზიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ნიშანი, რაც დამკვეთის იდენტიფიცირებას გახდის შესაძლებელს, პირდაპირ ან არაპირდაპირ.

7.3. შემსრულებელი ვალდებულია სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული კვლევასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია ან დამკვეთის პერსონალური მონაცემები, რაც აუცილებელია საჯარო დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად, თუ იგი წარუდგენს დამკვეთის წერილობით თანხმობას. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კონფიდენციალური ინფორმაციის მომთხოვნი ორგანო ვალდებულია დაიცვას მისთვის გადაცემული მონაცემების ან ინფორმაციის საიდუმლოება.

7.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთის თანხმობის გარეშე გასცეს მის შესახებ არსებული, მათ შორის კონფიდენციალური ინფორმაცია, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.

7.5. შემსრულებელი უფლებამოსილია სტატისტიკის წარმოების მიზნით გამოიყენოს კვლევებთან დაკავშირებული ინფორმაცია, მხოლოდ იმ პირობით, რომ თავიდან იქნება აცილებული ინფორმაციის დამუშავებისას დამკვეთის რაიმე ნიშნით მაიდენტიფიცირებელი მონაცემის ჩართვა.

მუხლი 8. დაუძლეველი ძალა

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი ძალის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა;

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთისა და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. დაუძლეველი ძალის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, დაუძლეველი ძალის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

8.3. დაუძლეველი ძალის გამომწვევი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევის მიზეზების შესახებ, ასევე ვალდებულების შესრულების შეუსრულებლობის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. თუ მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.
10.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 11. სხვა პირობები
11.1. მხარეები თანმხდებიან, რომ უპირველესად შეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების გზით მოაგვარონ მათ შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.
10.3.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვნ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამკვეთთან, ხოლო მეორე გადაეცემა შემსრულებელს.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები
დამკვეთი:
საიდენტიფიკაციო კოდი: 448382562
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი დიდაჭარის #23
ფაქტობრივი მისამართი: ქ. ბათუმი დიდაჭარის #23
საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა:; მობ: 599315000 ; khelvachauristskali.spa@gmail.com

შემსრულებელი: სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245645235
იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი: ქ. ბათუმი, სვიშევსკის ქ.#80
საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა: samebalab@gmail.com

სახაზინო ანგარიშის რეკვიზიტები
სახელმწიფო ხაზინა/ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 740347519

მხარეთა ხელმოწერები:

შემსრულებელი	დამკვეთი
ცენტრის უფროსი: ლევან გორგილაძე	დირექტორი: პაატა ზაქარაძე
---	---
Levan Gorgiladze Digitally signed by Levan Gorgiladze Date: 2022.03.25 12:19:26 +04'00'	LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY Digitally signed by LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY Date: 2022.03.25 12:11:51 +04'00'

<u>დანართი №1</u>

სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური გამოკვლევის
მაჩვენებლები და ფასები

პროდუქტის დასახელება	**გამოსაკვლევი მაჩვენებელის დასახელება**	**ერთეულის ფასი/ლარი**	**ნიმუშის რაოდენობა**	**ჯამი**
სასმელი წყალი	საერთო კოლიფორმული ბაქტერიები	20.10	2	40.20
	მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები 37°C და 22°C	5.70	2	11.40
	პათოგენური მიკროორგანიზმები მ.შ. Salmonella(spp)	32.70	2	65.40
	E.Coli	20.10	2	40.20
	Enterococci	11.20	2	22.40
ორი სინჯის სრული კვლევის საერთო ღირებულება				**179.60**
სინჯის აღების ერთჯერადი მომსახურების ღირებულება				**40.00**
ლაბორატორიული მომსახურების ჯამური ღირებულება				**219.60**

<u>შენიშვნა 1:</u> ორზე მეტი სინჯის წარმოდგენის შემთხვევაში, მომსახურების ღირებულება გამოითვლება წარმოდგენილი სინჯების რაოდენობის ერთი სინჯის ღირებულებაზე გამრავლებით მიღებული ჯამით.
<u>შენიშვნა 2:</u> დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ლაბორატორიული კვლევა შესაძლებელია ჩატარდეს დანართი №1-ში მოცემულ ცალკეულ და არა ყველა მაჩვენებელზე. ასეთ შემთხვევაში გაწეული მომსახურების ღირებულება გამოითვლება ცალკეული მაჩვენებლების ფასების ჯამური ღირებულების მიხედვით.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსრულებელი	დამკვეთი
ცენტრის უფროსი: ლევან გორგილაძე	დირექტორი: პაატა ზაქარაძე
---	---
Levan Gorgiladze Digitally signed by Levan Gorgiladze Date: 2022.03.25 12:20:18 +04'00'	LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY Digitally signed by LTD KHELVACHAURI WATER SUPPLY COMPANY Date: 2022.03.25 12:11:33 +04'00'